ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

*„დამტკიცებულია“*

*შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 01 აგვისტოს სხდომის № 01-03/03 ოქმის დანართი №2*

# ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

2022

# სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ....................................................... 1
მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ....................................................... 1
მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები ....................................................... 2
მუხლი 4. დასკვნითი დებულებები ....................................................... 3

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

**1.1.** წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - “ავიცენა” ან “უნივერსიტეტი”) სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და განხორციელების პროცედურებს.

**1.2.** განსხვავებული საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების სტუდენტების სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მიზნით უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (შემდგომში - ,,ისგ’’).

**1.3.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსხვავებული საჭიროების სტუდენტზე მორგებული დოკუმენტია, რომელშიც გაწერილია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები და გათვალიწინებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება და ინკლუზიურობა.

**1.4.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმა ეყრდნობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინამდებარე მეთოდოლოგიას.

**1.5.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში - სსსმ) არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.

**1.6.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება საჭიროებებისა და პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის (შემდგომში -შშმ პირი) და რომელსაც მისი სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვისა და სტუდენტური სერვისების თანაბრად მიღებისათვის ესაჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება.

**1.7.** უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შექმნას სპეციალური საგანმანათლებლო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს დაუბრკოლებლად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მიიღოს სტუდენტური სერვისები.

## მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

**2.1.** ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის კანონიერი ინტერესი, სპეციალური განათლების საჭიროების მქონე სტუდენტის მომზადების დონე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და წარმოადგენდეს სასწავლო კურსების ერთობლიობას. ისგ უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს, უნდა იყოს დროში გაწერილი, მიღწევადი და რეალისტური.

**2.2.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო პროცესში სრულ ინტეგრაციას, საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის შესაბამისი პირობების შექნას და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალიწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და სტუდენტური სერვისების მიღების პროცესში მაქსიმალურ მხარდაჭერას.

**2.3.** უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

**2.4.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სწავლა/სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

**2.5.** ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კურსები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, სწავლების ფორმატი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სპეციალური სასწავლო რესურსები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები.

**2.6.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის;

ბ) გაცვლითი პროგრამის და მობილობა/აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტებისთვის;

გ) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით, ორსულობისა და ბავშვის მოვლის პერიოდის გათვალისწინებით;

დ) განათლების აღიარების დროს, აკადემიური მომზადების განსხვავებული დონის არსებობისას;

ე) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;

ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის;

ზ) სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში, ასევე უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების/მოდიფიცირების ან გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც ხდება პროგრამაზე არსებული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

**2.7.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

## მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურები

**3.1.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტმა (ან მისმა მეურვემ/მზრუნველმა/კანონიერმა წარმომადგენელმა) განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის/სკოლის) დეკანს, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**3.2.** წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ან განმცხადებელზე უარის თქმის შესახებ.

**3.3.** ისგ უნდა შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტის ჩართულობით, რომელიც უნდა დაეფუძნოს სტუდენტის უნარ-ჩვევების შეფასებას, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტის საჭიროებები და უნივერსიტეტის შესაძლებლობები.

**3.4.** შემუშავებულ ისგ-ს უნდა გაეცნოს სტუდენტი, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებაზე.

**3.5.** ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს, ხოლო ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ

დამტკიცების შემთხვევაში საბოლოოდ დასამტკიცებლად ფაკულტეტის/სკოლის დეკანის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

## მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

**4.1.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია და მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამისი კომპეტენციისა და ინტერესის მქონე მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

**4.2.** ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**4.3.** უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წინამდებარე მეთოდოლოგიის პირველი რედაქცია მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ. აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შეიმუშავოს, განიხილოს და მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის ახალი რედაქცია ან/და ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მასში.